

შემოსავლებისა და ხარჯების გამიჯვნა შეღავათით სარგებლობის მიზნით 0511

ფაქტობრივი

საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რომელთან ერთადაც ასევე ახორციელებს სხვა სახის საქმიანობასაც.

საწარმო ორივე სახის საქმიანობიდან იღებს შემოსავალს. ამასთან, საწარმოს უფიქსირდება ხარჯები:

- ა) რომლებიც გაწეულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით და
- ბ) რომლებიც გაწეულია არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით.

საწარმომ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ფინანსური და საგადასახადო მოგება, 150 000 ლარის ოდენობით, სრულად მიმართა შემდგომ წლებში რეინვესტირებისთვის და არ დაბეგრა მოგების გადასახადით.

შეფასება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაბეგვისაგან თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.

სსკ-ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი საგადასახადო შეღავათით მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული დასაბეგრი მოგება, რომლის რეინვესტირებაც განხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.

აქედან გამომდინარე, საწარმომ ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალში ერთმანეთისაგან უნდა გამიჯნოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობითა და სხვა სახის საქმიანობით მიღებული შემოსავლები. ასევე, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ხარჯები, რომლებიც გაწეულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასა და სხვა სახის საქმიანობასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი უნდა შემცირდეს მის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯით და სწორედ აღნიშნული მოგება უნდა გათავისუფლდეს მოგების გადასახადით დაბეგვისაგან.

ლონისძიებები

პირი, დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირების შემთხვევაში, დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით გათვალისწინებულ ჯარიმით.

➤ სიტუაციურ სახელმძღვანელოში გათვალისწინებული მიდგომა ვრცელდება ასევე სსკ-ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „რ“ ქვეპუნქტით დადგენილ შეღავათზე

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2015 წლის 3 ნოემბრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით